საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3142-02
21/11/2023

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია-სემინარების ჩატარების მონიტორინგის წესი“-ს დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ‘’ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ და ,,ი” ქვეპუნქტების საფუძველზე, რექტორის მოადგილის, გიორგი გვალიას 2023 წლის 20 ნოემბრის N20367-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1.დამტკიცდეს ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია-სემინარების ჩატარების მონიტორინგის წესი“ თანდართული სახით.

2. დაევალოს უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს/სკოლას ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია-სემინარების ჩატარების მონიტორინგის შესახებ:

ა) დაუყოვნებლივ გააცნოს სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა თანამშრომელს.

ბ) გააცნოს სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა ახალ თანამშრომელს სამსახურში მიღებისთანავე.

გ) ყოველი სემესტრის დაწებამდე ერთი კვირით ადრე დაუგზავნოს სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა პირს;

3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ეს წესი განათავსოს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;

4. კანცელარიას დაევალოს:

ა) ეს წესი ატვირთოს შიდა საუნივერსიტეტო „კოდექსის“ პროგრამაში;

ბ) გააცნოს ეს ბრძანება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს/სკოლას, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ბიბლიოთეკას, ყველა დამხმარე და ადმინისტრციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი